



2024 წლის ანგარიში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის, სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების მიერ გაცემული საჯარო ინფორმაციის თაობაზე

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე შემოვიდა 99 (ოთხმოცდაცხრამეტი) განცხადება. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, 56 (ორმოცდათექვსმეტი) განცხადებაზე გაცემულ იქნა საჯარო ინფორმაცია, 28 (ოცდარვა) განცხადება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად გადაეგზავნა უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს. 12 (თორმეტი) განცხადებაზე ინფორმაცია არ გაცემულა, ხოლო 3 (სამი) განცხადების თაობაზე მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში საჯარო ინფორმაციაში შესწორების შესახებ მოთხოვნა არ შემოსულა. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში, საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევის გამო, პასუხისმგებელი პირებისთვის დისციპლინური სახდელი არ დადებულა. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატს მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან დაკავშირებით ხარჯები არ გაუწევია. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას იყენებს შემდეგ საკანონმდებლო აქტებს: საქართველოს საგადასახადო კოდექსს და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონს.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე შემოვიდა 1 (ერთი) განცხადება. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გაიცა საჯარო ინფორმაცია.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე შემოვიდა 20 (ოცი) განცხადება. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, 15 (თხუთმეტი)





განცხადებაზე გაცემულ იქნა საჯარო ინფორმაცია, 4 (ოთხი) განცხადებაზე ინფორმაცია არ გაცემულა, ვინაიდან განმცხადებლების მხრიდან მოთხოვნილი ინფორმაცია არ განეკუთვნებოდა საჯარო ინფორმაციის კატეგორიას. ხოლო, 1 (ერთი) განცხადებაზე ინფორმაცია არ გაცემულა. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ უწყების გადაწყვეტილება მომთხოვნი მხარის მიერ არ გასაჩივრებულა.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე შემოვიდა 35 (ოცდათხუთმეტი) განცხადება. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური მიერ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად 34 (ოცდათოთხმეტი) მათგანზე გაცემულ იქნა საჯარო ინფორმაცია, ხოლო 1 (ერთი) განცხადებაზე ინფორმაცია არ გაცემულა. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ უწყების გადაწყვეტილება მომთხოვნი მხარის მიერ არ გასაჩივრებულა.

საჯარო სამართლის იურიდიულ პირი - ფინანსთა სამინისტროს აკადემია

სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემიაში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე შემოვიდა 9 (ცხრა) განცხადება. ფინანსთა სამინისტროს აკადემიის მიერ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ცხრავე (9) მათგანზე გაიცა საჯარო ინფორმაცია.

საჯარო სამართლის იურიდიულ პირი - საფინანსო - ანალიტიკურ სამსახური

სსიპ - საფინანსო - ანალიტიკურ სამსახურში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე შემოვიდა 3 (სამი) განცხადება. სსიპ - საფინანსო - ანალიტიკური სამსახურის მიერ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, 2 (ორი) მათგანზე გაიცა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია, ხოლო 1 (ერთი) განცხადებაზე მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება. სსიპ - საფინანსო - ანალიტიკურ სამსახურში საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის შესახებ მოთხოვნა არ შემოსულა. სსიპ - საფინანსო - ანალიტიკურ სამსახურს მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან დაკავშირებით ხარჯები არ გაუწევია.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შემოსავლების სამსახური

სსიპ - შემოსავლების სამსახურში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე შემოვიდა 1109 (ათას ას ცხრა) განცხადება. შემოსავლების სამსახურის მიერ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, 753 (შვიდას ორმოცდაცამეტი) განცხადებაზე გაცემულ იქნა საჯარო ინფორმაცია, ხოლო ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 226 (ორას ოცდაექვსი) განცხადება. სსიპ - შემოსავლების



სამსახურში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 130 (ას ოცდაათი) განცხადებასთან დაკავშირებით.

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილებები მიღებულ იქნა შემდეგი საჯარო მოხელეების მიერ:

- ✓ ბექა ჩხაიძე - საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი);
- ✓ დავით გამყრელიძე - სახაზინო სამსახურის ხელმძღვანელი;
- ✓ ანა ლურსმანაშვილი - საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური);
- ✓ ნინო დემურაძე - საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი (ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური);
- ✓ დინარა ჩუბინიძე - სსიპ - შემოსავლების სამსახურის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი;
- ✓ ომარ ოქროპირიძე - საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი (სსიპ-ფინანსთა სამინისტროს აკადემია);
- ✓ ლევან ბაიდოშვილი - საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი (სსიპ - საფინანსო-ანალიტიკური სამსახური).